



# ბათუმის უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №10, დეკემბერი, 2016

## გილოცავთ ახალ 2017 წელს



ვულოცავ ახალ 2017 წელს გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“. გაზეთის რედაქციის წევრებთან და მკითხველებთან ერთად ახალი წელი მინდა მივულოცო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. განსაკუთრებული სიყვარულით მივმართავ თითოეულ მათგანს და

სიკეთით და წარმატებით სავსე წელს ვუსურვებ!

დღეს მსოფლიოში არსებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვაგრძობინა მშვიდობის ფასი. წარმოდგენილია უნივერსიტეტის, ისევე როგორც ქვეყნის ნორმალური განვითარება მშვიდობიანი გარემოს გარეშე. ამიტომაც ახალი წლის დადგომისას პირველ რიგში მშვიდობას ვუსურვებ მსოფლიოს, ჩვენს ქვეყანას და რეგიონს.

ჩემთვის, როგორც აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარისათვის, უმნიშვნელოვანესია ჩვენი რეგიონის მთავარი საგანმანათლებლო კერის წინსვლა და წარმატება. თითოეული თქვენგანის შრომის მოყვარულობაზე, განათლების განვითარებისაკენ სწრაფვასა და მაღალკვალიფიციურ, თანამედროვე სწავლებაზე დიდწილად და მოკიდებული რეგიონის განვითარება ყველა მიმართულებით. კიდევ ერთხელ გილოცავთ 2017 წლის დადგომას.

წარმატებული და პოზიტიური სიახლეებით გამორჩეული წელი ყოფილიყოს ყველა თქვენგანისათვის!

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე*

ქვირფასო სტუდენტებო, კოლეგებო, უნივერსიტეტის გულშემოყვარებულო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! მშვიდობა, სიყვარული და ბედნიერება მოუტანოს ახალ 2017 წელს! ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დაღვრილი თითოეული ჩვენგანის, მთლიანად საქართველოსთვის!

უპირველესად, მინდა მაღლობა გადაგიხადოთ თანადგომისათვის, უნივერსიტეტის ყველა წარმატებისათვის, ყველა მიღწევისათვის თუ სასიკეთო სიახლისთვის, უნივერსიტეტზე ერთობლივი ზრუნვისთვის! ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი არსებობისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპზეა - ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით, აკადემიური თავისუფლების დაცვით, სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვით, ცოდნის შექმნა, შენახვასა და გადაცემაზე ორიენტირებით, ღირსეული საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებით, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობითა და მხარდაჭერით, პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებით კიდევ უფრო მეტად მდიდრდება, ასპარეზს იფართოებს და ახალ სიმაღლეზე ადის. საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად უმაღლესი

პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე, მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განვითარება სანინდა-



ტიერობები დაფუძნებული იქნება ჯანსაღ ადამიანურ ღირებულებებზე. კვლავ ერთად დგომით, თანამშრომლობით, ურთიერთ-სიყვარულითა და პატივისცემით გვემუშავენ ჩვენი უნივერსიტეტის მომავალი. სიყვარული, სიკეთე და ბედნიერება სუფევდეს თქვენს სულსა და ოჯახებში, კეთილდღეობა, ჯანის სიმრთელე და ღიმილიანი განწყობა გქონოდეთ არა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში, არამედ მთელი წლის განმავლობაში!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას - სტუდენტებს, პროფესორებს, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს და გისურვებთ შრომა და სწავლა გვეყვარებოდეს, ურთიერთგაგება გვექონოდეს, ერთმანეთის გულშემოყვარება და თანადგომა შეგვძლებოდეს, ყველა საახალწლო სურვილი აგვხდენოდეს! ფიქრის, განსჯის, აზროვნების უნარი, სიბრძნე და გონიერება მოგვმადლოს ღმერთმა, წყენა გვაშოროს, ლხინი გავგიმრავლოს, სულის და ხორცის სიმრთელე მოგვცეს, სამშობლოს სიყვარული გავგიძლიეროს და შეგვძლებინოს ბევრი მცოდნე და განათლებული ადამიანი აღგვეზარდოს ჩვენი ქვეყნისთვის! ახალ წელს ყველა ჩვენი იმედი და ოცნება აეხდინოს და მთელი ქვეყნის, ჩვენი უნივერსიტეტის, თითოეული ჩვენგანის დიდი წარმატებებისა და წინსვლისათვის დაედოს სათავე!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაში



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და ტექნიკურ პერსონალს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს.

2017 წელი ჩვენს ქვეყანაში განათლების წლადა გამოცხადებულ

ლი. მიხარია, რომ ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი, რომელშიც 5 წლის განმავლობაში ვეუფლებოდი იურისტის პროფესიას და პატივი მქონდა 11 წლის განმავლობაში სტუდენტობისთვის გადამეცა ცოდნა და გამოცდილება, მიღწეული წარმატებებით წელს გამართული ეგებება ახალი წლის დადგომას.

მაღალი აკადემიური დონე და პირადი ღირსებები, რითიც უნივერსიტეტის თანამშრომლები გამოირჩევიან, მათი უდიდესი გამოცდილება, ჩვენი ახალგაზრდების ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა მაძლევს მტკიცე საფუძველს მჯეროდეს, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში და კიდევ უფრო განიმტკიცებს წამყვან პოზიციას, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დამსახურებულად უჭირავს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

*პატივისცემით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაგაიძე*





# „ბაიბით მეტი ჩვენ შესახებ“

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი არსებობის მეექვსე წელს ითვლის. ცენტრის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, ღია ლექციები, სესიები და დისკუსიები სხვადასხვა თემებზე, შემეცნებითი ღონისძიებები. ცენტრში გაერთიანებულია როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები.**

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციას, განახორციელოს სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი ღონისძიებები, დაამყაროს ურთიერთობა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გთავაზობთ სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ანგარიშს: 8 თებერვალი წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში — 2016 წლის 8 თებერვალს ჩატარდა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ილია ჭავჭავაძის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, კინოთეატრი „აპოლო-ბათუმი“, ბათუმის ავტოტრანსპორტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა. პროექტში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმის 27 საჯარო და კერძო სკოლა. კონკურსში გამარჯვებულ გუნდად დასახელდა გუნდი „ნიკე“ (შ.პ.ს. ნიკე), მეორე ადგილზე გავიდა 15 საჯარო სკოლის გუნდი „რკინისჯვარი“; ხოლო 10 საჯარო სკოლის გუნდმა „ბალავარი“, მესამე ადგილი დაიკავა. გამარჯვებულ გუნდებს ორგანიზატორებისა და მხარდამჭერებისგან გადაეცათ სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს, საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, გაიმართა ქართული მხატვრული ფილმის „წუთისოფელი“ ჩვენება. შეხვედრაზე მონაწილე იყო ფილმის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პერსონაჟი, საქართველოს სახალხო არტისტი, ბათუმის საპატრიოტო მოქალაქე, მსახიობი მანუჩარ შერვაშიძე. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

2016 წლის 23 მარტს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს და პა-

ტივი მიაგეს იმ ახალგაზრდების სსოვნას, რომლებმაც 1921 წელს თავი შესწირეს ქვეყნის თავისუფლებას. პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ყველაზე უფრო შთაბეჭდილი იქონიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი.

მიმდინარე წლის 6 აპრილს „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ აჭარის ბიუროსა და სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ინტელექტუალური თამაში, რომლის მიზანი იყო ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულების, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიზნებისა და პრინციპების, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის და საქართველოს ნატოში განეწიანების პროცესის და პერსპექტივების შესახებ ცნობადობის დონის ამაღლება ბათუმის კერძო და საჯარო სკოლებში. პროექტში ჩაერთო ქ. ბათუმის 21 საჯარო და კერძო სკოლის 100-ზე მეტი მოსწავლე.

ინტელექტუალური თამაშის - „NATO-OT“ შედეგებს კომპეტენტური ფიური აფასებდა. პირველი ადგილი კერძო სკოლა „ევრო-2000-ის“ გუნდმა დაიკავა, მეორე და მესამე ადგილები კერძო სკოლა „ნიკე“ და მე-8 საჯარო სკოლის გუნდებმა გადაინაწილეს.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ბათუმის ბოტანიკური ბაღი, გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“, „საქართველოს პროფესიული განვითარების ცენტრი“, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ მხარდამჭერების მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრებით და სერტიფიკატებით.

9 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა 1989 წლის 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაღუპულ გმირთა ფილმის ჩვენება, ასევე ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ფოტოების ჩვენება. დაღუპული გმირების უკვდავსაყოფად სტუდენტებმა



გილი დაიკავა მე-10 საჯარო სკოლის გუნდმა „ბალავარი“.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სერტიფიკატები, ნიგნები და მხარდამჭერებისგან ფასიანი საჩუქრები.

5-10 ივნისს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის II, III და IV კურსის სტუდენტებმა, ასევე რეფერატულ ნაშრომთა კონკურსში გამარჯვებულმა პირველკურსელებმა. კონფერენცია მიმდინარეობდა 22 სხვადასხვა მიმართულებით. მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.

17 ნოემბერს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრმა სტუდენტთა საერთაშორისო დღე მიულოცა სრულიად საქართველოს სტუდენტებს და მათ წარმატება და აქტიური სტუდენტობა უსურვა.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი კვლავ აპირებს მსგავსი ტიპის ღონისძიებების განხორციელებას, ასევე გეგმავს სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციას და მოუწოდებს სტუდენტებს მეტი აქტიურობისაკენ. ცენტრს გააჩნია გვერდი. ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით „გაიგეთ მეტი ჩვენ შესახებ“!

აქამ გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცოთ ჩვენს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციას. ვუსურვებთ მათ ჯამრთელობას, ღვთის წყალობას, წინსვლას, წარმატებას ნებისმიერ ასპარეზზე, მხნეობასა და ნაყოფიერ ცხოვრებას.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

## დაგლოცათ ჭარმა ყველანი



ძველი წელიწადის გასტუმრება და ახალი წლის მიგებება უდიდესი დღესასწაულია ყველა ხალხის ცხოვრებაში. წარმართობიდან მომდინარე ეს დღესასწაული ჩვენში ქრისტიანულმა კალანდარმა შეცვალა და მას უკავშირდება ადამიანის იმედი, რწმენა მომავლისა; ყველაფერ საუკეთესოსა და საოცნებოს ახალი წლის დადგომისას მოველით და ჩემი საკალანდო სურვილებიც ამგვარია:

— მრავალტანჯულ ჩვენს სამშობლოს გამთლიანება და საკუთარი თავის იმედად ყოფნა!

— ყველა ოჯახს საქართველოში ხვალი და ბარაკა!

— ჩვენს საიმედო ახალგაზრდობას ცოდნის შეძენის ნყურვილი და სამშობლოს მსახურების უღვევი განცდა!

— ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს, მის ხელმძღვანელობას, ყველა კოლეგას და, რაც მთავარია, ჩვენს ძვირფას სტუდენტებს — ჯანმრთელობა, წინსვლა და წარმატებები!

ბოლოს კი, როგორც ჩვენი ბრძენი სახალხო მთქმელი იტყოდა,

“დაგლოცასთ ჯვარმა ყველანი, არ მაგერიოსთ მტერია!”

პროფესორი თინა შიოშვილი

## ბილოცაში ახალ - 2017 წელს

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი დიდი საგანმანათლებლო კერაა. მისი თითოეული წევრი: სტუდენტი - ბაკალავრი, მაგისტრი თუ დოქტორანტი, ადმინისტრაციის თანამშრომელი, გნებავთ პროფესორი, განურჩევლად ხარისხისა და სტატუსისა, ამ დიდი ოჯახის ორგანული ნაწილია, რომელმაც უნდა იზრუნოს და ზრუნავს კიდევ ჩვენი უნივერსიტეტის განვითარებისათვის, რათა მან არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ქვეყნების საუნივერსიტეტო სივრცეში საპატიო ადგილი დაიკავოს. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, რადგან სწორედ სიყვარული გახლავთ ყოველგვარი ფასეულობის - ცოდნის, ღირსების, კეთილშობილების, პატრიოტიზმის და სხვა ამდგარი სულიერი ღირებულებების საფუძველი.

ჩემთვის დიდი პატივია ჩვენს სტუდენტებსა და კოლეგებს გაზუთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ მეშვეობით 2017 წლის დადგომა მივულოცო, რომლის გუგუდითი გზით გამოცემა იმ დროს, სტუდენტობასთან ერთად, ჩემი რექტორობის დროს იქნა დაფუძნებული და ორგანიზებული. მე ორმაგად მიხარია, რომ ეს გაზეთი დღეს სოლიდურ პერიოდულ გამოცემად გადაიქცა.

გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

პროფესორი ნუზარ მგებელიძე





# უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — მილნეულის შეფასება და სამომავლო გეგმები

**2017 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთი სიახლე მოსალოდნელია. შშმ პირთა ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად გარე ლიფტები დაპროექტდება, გაიხსნება მძლეოსნობის დარბაზი, მოენწყობა თანამედროვე სტუდენტური კაფეტერია და ა.შ. ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბატონი ჯემალ ანანიძე საუბრობს:**



— ბატონო ჯემალ, როგორც ვიცით უნივერსიტეტში გარემონტდა მეორე კორპუსი, მოწესრიგდა სხვადასხვა ფაკულტეტთან არსებული ლაბორატორიები, ამოქმედდა ახალი სტამბა და ა.შ. როგორც წესი, აშენებულს საზოგადოება აფასებს, თუმცა საინტერესოა რას გვეტყვიან თქვენ, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი?

— იმის გამო რომ ტენდერი დაგვიანდა, ჩვენ მიმდინარე ბიუჯეტთან ვეღარ ვასწრებდით გამოცხადებას, ამიტომ ახალი საბიუჯეტო წლის მოახლოებას ველოდებოდით. ამან კი თავის მხრივ დაგვიგვიანა პროექტი. სტამბა სადაც თებერვლის ბოლოსთვის ამოქმედდება, ხოლო რაც შეეხება ლაბორატორიულ სივრცეებსა და სველი ნერტილებს მოწყობას, რომლებიც ასე თუ ისე გარემონტდა, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, პირველი კორპუსიდან დაიწყება და ეტაპობრივად მეორე კორპუსსაც მოიცავს. ბენზეს დასახლებაში მდებარე კვლევით ინსტიტუტსა და ტექნოლოგიურ ფაკულტეტის აგარა-რული მიმართულებების სასწავლო კორპუსში ასევე იგეგმება სველი ნერტილებისა და შიდა ეზოების კეთილმოწყობა. ეს სამუშაოები ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესს და სავარაუდოდ მარტის თვეში ინფრასტრუქტურა სრულიად იქნება მოწესრიგებული, რაც ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ყველა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილ მოწყობის ეზოები, მანამდე კი აუცილებელია გამოყენებული ნყლების შემკრები სისტემის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, იგეგმება სახანძრო უსაფრთხოების ე.წ. გიდრანტების დამონტაჟება, რაც გულსხმობს ეზოში მიღებით წყლის შემოყვანას. როგორც იცით, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე კორპუსს ეზო საერთოდ არ აქვს, მიმდებარე ტერიტორიაზე ანტისანიტარიის კერაა, ამიტომ ჩვენ ჩაფიქრებული გვაქვს შემოვსაზღვროთ ჩვენი სივრცე და დავაპროექტოთ ეზოს კეთილმოწყობა. აგრარულ და მემბრანულ კვლევით ინსტიტუტებთან ვგეგმავთ სათბურების მოწყობას, სადაც სტუდენტები გაივლიან პრაქტიკებს. ტენდერი ადრეც იყო გამოცხადებული, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ჩაიშალა. ამიტომ წელს განმეორებით გამოცხადდა.

— ბატონო ჯემალ, როგორც ვიცით, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს საერთოდ არ აქვს კაფეტერია, იგეგმება თუ არა იქ მისი გაკეთება?

— ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პასუხს აგებს ადამიანური რესურსების, ბიუჯეტისა და მატერიალური რესურსების მართვაზე. ადამიანური რესურსების მხრივ ვცდილობთ, რომ მენეჯმენტში სიახლეები შემოვიტანოთ, რადგან ვფიქრობთ, რომ მივიღოთ იმ ეტაპამდე, როცა დროა გარკვეული სიახლეებისა და რეორგანიზაციის გეგმა დავსახოთ.

— ამ ეტაპისთვის, ფაქტობრივად მეორე კორპუსის რემონტი დასრულდა, თუმცა სამუშაოები ისევ დარჩენილია. მესამე სართულზე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიული სივრცე დარჩა გასარემონტებელი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს სარდაფი, რომელიც მოუწესრიგებელია და ვფიქრობთ, რომ იქ უნდა განთავსდეს მინი სპორტული სივრცეები, მოწესრიგდეს სასაწყობო მეურნეობა და ასევე ახლანდელი სტამბის ფარგლებში განთავსდეს გარკვეული კვების ბლოკი. ეს პროექტები მომავალი წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, რადგან გარკვეული პრობლემები შეგვექმნა წელს დაპროექტებასთან დაკავშირებით. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ წლის დასაწყისში დროულად ვერ მოგვანოდა სატენდერო დოკუმენტაცია, რის გამოც მას დისკვალიფიკაცია მიეცა და სწორედ ამ პროექტების დროულად ვერ მიღების გამო თითქმის ექვსი თვე ახლო ტენდერებისა და დამპროექტებლების მოძებნაში დაგვეკარგა. ამ წუთას ფასადზე მიმდინარე სამუშაოებიც ამ დაგვიანების ბრალია, რომელიც ზაფხულში უნდა დაგვეწყოს. მოგესხენებათ, ფასადს თავისი დატვირთვა აქვს, მითუმეტეს უნივერსიტეტი ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული, ის სრულიად ამორტიზირებული იყო და წვიმის დროს აუდიტორიებში წყალი შედიოდა. უნივერსიტეტისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი სტამბის გახსნას და საგამომცემლო საქმიანობის დაწყებას. ჩვენ მიმდინარე წელს აჭარის განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის თანადაფინანსებით შევიძინეთ სტამბის მოწყობის ბიუჯეტიდანაც დაიხარჯა — სადაც მილიონ ლარზე მეტი. მოგესხენებათ, ინფრასტრუქტურა ეს ისეთი საკითხია, თუ წამოვიწყებთ სწრაფად უნდა დასრულდეს, რადგან დროში განვლილი მუშაობა გარკვეულ პრობლემებსა და დისკომფორტს ქმნის.

— იქნება თუ არა შშმ პირების ადაპტირებული გარემო უნივერსიტეტში?

— ბატონო ჯემალ, როგორც ვიცით, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს საერთოდ არ აქვს კაფეტერია, იგეგმება თუ არა იქ მისი გაკეთება?

— აქვე ტენდერი არ აქვთ, თუმცა იგეგმება სპეციალური სივრცის მოწყობა სარდაფში. საინტერესოა ის, რომ ერთ-ერთმა კომპანიამ შემოგვთავაზა ასეთი წინადადება — თუ ჩვენ მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ფართს გამოფუყოთ, ისინი იქ მისაბმელის ტიპის სწრაფი კვების ობიექტს განათავსებენ. ვფიქრობ, საინტერესო შემთავაზებაა, რომელსაც წარმომადგენლობით საბჭოზე განვიხილავთ და ვნახავთ, რამდენად დადებითი შეფასება მივიცემთ.

— აქვე ტენდერი არ აქვთ, თუმცა იგი გამოფუყნებული იყო და ახლა რასაც ჩვენ ვაკეთებთ, შეიძლება რამდენიმე წლის წინ გაკეთებულიყო. ერთი სიტყვით, ჩვენ გავრისკეთ და რექტორისგან მიღებული თანხმობით დავიწყებთ ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობას, რაც ვფიქრობ უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა.

— საიდან გამოიყო სარემონტო თანხები და კონკრეტულად რამდენი?

— აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოიყო მილიონ ოთხასი ათასი ლარი, რომელიც მათი პროგრამული დაფინანსებაა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ხოლო თანხის ნაწილი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდანაც დაიხარჯა — სადაც მილიონ ლარზე მეტი. მოგესხენებათ, ინფრასტრუქტურა ეს ისეთი საკითხია, თუ წამოვიწყებთ სწრაფად უნდა დასრულდეს, რადგან დროში განვლილი მუშაობა გარკვეულ პრობლემებსა და დისკომფორტს ქმნის.

— უკაბელო ინტერნეტზე რას გვეტყვიან... დღეისათვის არსებობს მასთან დაკავშირებული პრობლემები. დაფარავს ის სრულიად ორივე კორპუსს?

— თქვენი მხრიდან, რა მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება 2017 წლისთვის უნივერსიტეტში?

— 2017 წელი — ეს იქნება ინფრასტრუქტურული საქმიანობის დამამთავრებელი ეტაპი. ამ წელში იგეგმება ადმინისტრაციული კორპუსის რეაბილიტაცია, პროექტიც მომზადდა უკვე და დაახლოებით

გილოცავთ ახალ წელს უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს, პროფესორ მასწავლებლებს, სტუდენტებს და მეგობრებს! გისურვებთ წარმატებებს სწავლაში და შრომაში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. მადლიერებას გამოვხატავ მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ, რომელთანაც მაკავშირებს მთელი ჩემი მოღვაწეობა და საუკეთესო მოგონებები. მეამაყება და მბედნიერებს ის, რომ ვარ უნივერსიტეტელი. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი ახალ წელს ხვდება კეთილმოწყობილი სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტ-ლაბორატორიებით, ნათელი აუდიტორიებით, სადაც სწავლა და შრომა მეტად სასიამოვნო და სახალისოა. კიდევ უფრო გაბრწყინებული და წარმატებული ყოფილიყოს ჩვენი უნივერსიტეტი და სრულიად საქართველო.



პროფესორ-კემბრიჯის რეპაზ ზოსიძე

შობა-ახალ წელს ვულოცავ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, მათ ოჯახებს და სრულიად საქართველოს. ჩემი ძვირფასო მეგობრებო, დამდეგი 2017 წელი ჩვენი უნივერსიტეტის, ოჯახების და სრულიად საქართველო-სა-თუვის ყოფილიყოს სიუხვის, ბედნიერების, ზვავისა და ბარაქის მომტანი. დაე, 2017 წელი უფრო წარმატებული ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისათვის. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!



ხატია რომანაძე

კატრინისცხიპითა და კეთილი სურვილებით, გადრი გეჩხაია, ასოციირებული პროფესორი, ზიზნაის ადმინისტრირაციის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი











# კურიოზებს იხსენებენ პროფესორები



**მურმან მორგოშაძე, პროფესორი:**  
— ბატონო მურმან, გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ საახალწლო ნომრისთვის რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— წელი არ მახსოვს... მახსოვს, დეკანი ვიყავი იურიდიული ფაკულტეტის და იმ დროსაც სტუდენტის აკადემიური მოსწრება მკაცრად კონტროლდებოდა. ერთ-ერთ კურსზე თითქმის ნახევარი კურსი არ მოვიდა, არადა კიბეებზე რომ ამოვდიოდი, შევნიშნე ეს სტუდენტები და წესით უნდა ამოსულიყვნენ, თუმცა აუდიტორიაში არ დამხვდნენ. იმათ ამოსაყვანად ქვემოთ ჩავედი. პირველ სართულზე ფანჯრიდან დამინახეს, რომ მივდიოდი მათთან და უკან დაინიხს, კიბეზე დაეშენ. მე რომ კიბეზე ჩავედი, ისინი ქუჩის მეორე მხარეს გადავიდნენ. ქუჩაში გავედი, ისინი ქუჩის იქით მხარეს იყვნენ, მე — აქეთ. 6 მაისის პარკში გადავიდნენ, მერე მეც გავყვევი და რომ დავინახე ზოოპარკის მხარეს მიდიოდნენ, მივაძახე: „სწორად მიდიხართ-მეთქი“.

— ერთი კიდევი საინტერესო კურიოზი... ერთხელ შემოვიდა სტუდენტი აუდიტორიაში მაშინ, როცა ათი წუთი აკლდა ლექციის დასრულებას. შეიძლებაო? მეკითხება და შემობრძანდით-მეთქი. ბოდიშს მიხდის მაპატიეთ დავაგვიანეო, მე ვუთხარი შენ კი არ დააგვიანე, მომდევნო ლექციისთვის ადრე მოხვედი თქო.

— პირველ კურსზე ვკითხულობდი ლექციას და შემოვიდა ჩვენი პროფესორი აბდულ კახიძე. შევწყვიტე ლექცია და ვეუბნები მობრძანდით ბატონო აბდულ. ის მეკითხება:

- რომელი კურსია?
- თქვენ რომელი გნებავთ?
- მეორე.
- გამოიარე მომავალში-მეთქი.



**ზაზა ღვინჯიანი, პროფესორი:**  
— ოთხმოცდაათიან წლებში რუსთაველის ქუჩის მხრიდან არ იყო გამყოფი ზოლი და ბიჭები უნივერსიტეტის წინ ძალიან ჩქარა მოძრაობდნენ ავტომობილებით, თავს იწონებდნენ. ამის გამო, ხშირი იყო ავარიული სიტუაციები. ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაეყენებინა პოლიციელი ანუ მაშინდელი ავტონისპექციის თანამშრომელი, რომ სწრაფად არ ემოძრაოთ. მაშინ გავრცელებული იყო კორუფცია, პოლიციელების მხრიდან ქრთამის აღება და რადგან ისინი აქ სამორიგეოდ გადმოიყვანეს, ამას ვეღარ

ახერხებდნენ. რამდენიმე დღე ისე გავიდა, ვერაფერი სარგებელი ვერ ნახეს და ბოლოს ფეხით მოსიარულე დააჯარიმეს სწრაფად გადაადგილების გამო.

**ბურამ ჩაბანაძე, პროფესორი:**  
— ბ-ნო გურამ, საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან დაკავშირებით რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით?  
— შევეკითხები სხვებს (იციან). ყოველშემთხვევაში ახლა არ მახსენდება არანაირი კურიოზი. თვითონ კურიოზი რომ არ მახსენდება, ეს არის კურიოზი.



**მამია ფალაშვილი, პროფესორი:**  
„მავშეთის ერთ-ერთ სოფელში ვიყავი. ჩემსა და ერთ ადგილობრივ ქალბატონს შორის გაიმართა დიალოგი, ეს ქალბატონი მეკითხება:

- სად მუშაობთ ბატონო მამია?
- უნივერსიტეტში ვასწავლი
- რას ასწავლით?
- ქართულს.

გაოცებულმა შემომხედა და მკითხა: — ძალიან პანუან ბაღნებს ასწავლით? ვუპასუხე, რომ სტუდენტებს ვასწავლი. კიდევ უფრო მეტად გააოცა ამ პასუხმა და მეკითხება: — კი მაგრამ სტუდენტებმა ქართული არ იციან, იქ რომ მოდიანო?!

ვერაფრით ვერ გავაგებინე, რომ იქ მოსულმა ქართველმა სტუდენტმა შეიძლება ისწავლოს ქართული ენა“.



**შორენა მახსაძე, პროფესორი:**  
„ერთხელ, ერთი ახალგაზრდა, ახალგაზრდა სტუდენტი გოგო სახლში მომადგა. ფეხმძიმედ იყო და გამოცდაზე ვერ მოვიდა, მთხოვდა რომ როგორმე დამენერა ნიშანი. ჩემი ოჯახის წევრებიც ცალკე მეხვეწებოდნენ დამენერა დამაკმაყოფილებელი მაინც. აღარ მომეშენენ. ბოლოს სხვა გზა რომ აღარ დამიტოვეს, ვკითხე რამე თუ გაქვს ნაკითხული-მეთქი. დაიბნა, არაფერი მიპასუხა. სხვანაირად მივუდექე და ჩამოვუთვალე ნაწარმოებები. არცერთი არ ჰქონდა ნაკითხული. ბოლოს ვკითხე, „დიდოსტატის მარჯვენა“ თუ გაქვს ნაკითხული-მეთქი. მორიდებულად გამომხედა და მიპასუხა: მასწავლებელი, „გოგოვობაში მაქვს ნაკითხული“. ხოლო თუ „გოგოვობაში“ გაქვს ნაკითხული, მაშინ აპა შენ სამიანი და ჩათვალე ჩაბარებული გაქვს-მეთქი.“

# მე რომ სანტა ვიყო



**ბრიგოლ ბაბუა: ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მე-3 კურსი:**  
„ამ ახალ წელს სანტად ყოფნას მირჩევნია გრინჩი ვიყო. ასე შევძლებ უნივერსიტეტს კომპიუტერები მოვპარო, რათა ეს რთული შეფასების სისტემები გააუქმონ“.



**ზვიო ჩხანკელი: ისტორიის სპეციალობის მე-3 კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო?! არაფერს, ცხელ ჩაის დაველვი ლაპლანდიაში. ეს ხუმრობით. მართლაც, მე რომ სანტა ვიყო, ყველა ლექტორს ნითელ ქუდს ვუყიდდი და სტიპენდიებსაც დავარიგებდი“.



**ბიორგი ჭანიძე, ფილოსოფიის სპეციალობის კურსდამთავრებული:**  
„მე რომ სანტა ვიყო აქცენტს არ გავაკეთებდი კარნავალსა და მსგავს რაღაცებზე. აუცილებლად მოვახდენდი უნივერსიტეტის მოდერნიზაციას. დავაკონკრეტებ რას ვგულისხმობ მოდერნიზაციაში — უდავოდ გავაახლებდი კადრებს და წავახლისებდი მაგალითად, ვინც იცის უცხო ენა, მათთან ერთად ვიმუშავებდი იმ ლიტერატურის თარგმანზე, რომელიც ჭირდება დღეს უნივერსიტეტს“.

**მარიამ დინასამიძე, დანყებითი განათლების სპეციალობის პირველი კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო, ვისურვებდი რომ სულ ხუთიანები დაგვიწერონ, განსაკუთრებით ფილოსოფიაში“.

**ნინო ჩაჩაძე, ტურიზმის ფაკულტეტი მე-3 კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო, მეხუთე სართულამდე ლიფტს დავაყენებდი“.


**რუსუდან ზომიძე, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მე-4 კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო, უნივერსიტეტს მოვუტანდი ბევრ ისეთ ნიგონს, რომელიც არ მოიპოვება ბიბლიოთეკაში, ასევე მოვუტანდი დიდ და ლამაზ ნაძვის ხეს, რომელსაც

უნივერსიტეტის ეზოში დავდგამდი“.

**ელისო ღუმბაძე, მენეჯმენტის სპეციალობის მესამე კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო, უნივერსიტეტის თითოეულ სართულზე დავდგამდი ყავის აპარატებს, გავაუმჯობესებდი კაფეტერიას და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ ფასებს დავანესებდი“.



**ანა კეჭაშვილი, ევროპისმცოდნეობის სპეციალობის მე-3 კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო, უნივერსიტეტში ქსეროქსს უფასოს გავხდიდი“.



**ნატა მუსხერიძე, მენეჯმენტის სპეციალობის მე-3 კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო, იმ გარემოს, რომელშიც დღეს ვიმყოფები და სადაც ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ვატარებ, ჩემს უნივერსიტეტს, ვაჩუქებდი უფასო სწავლების შესაძლებლობას, რათა თითოეულ სწავლას მოწყურებულ ბავშვს შეეძლოს სწავლა და წარმატების მიღწევა, ასევე ერთმანეთის პატივისცემისა და თანაგრძნობის სურვილს აღვუძრავდი თითოეულ ადამიანს ამ უნივერსიტეტში“.



**მარინა კონცალიძე, ფინანსების სპეციალობის მე-3 კურსი:**  
„მე რომ სანტა ვიყო, შობამდე დავასვენებდი სტუდენტებს. ამის გარდა, თითოეულ სართულზე დავდგამდი ქსეროქსის აპარატს, რათა სტუდენტს არ მოუწიოს საათობით რიგში დგომა“.



# თაფლისა და ღვინის ქიმიური შედგენილობის შესწავლა მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფიებით

**მცირემინიან ქვეყნებში, ისეთში როგორც საქართველო, ძალზე მნიშვნელოვანია მოინახოს და გაშენდეს ისეთი მცენარეების პლანტაციები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ადგილობრივ ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებისათვის მაღალ მოსავლიანობას და რენტაბელობას.**

ისტორიულად, საქართველო მიჩნეულია ვაზის სამშობლოდ, შესაბამისად ერთ-ერთი პირველი მეღვინეები აქ მცხოვრებნი იყვნენ. მეორეს მხრივ საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი ღვინისა და თაფლის ექსპორტით ძველი ქართული სამეფოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავალი იყო. ეს პოზიცია დღესაც შეიძლება იქნას შენარჩუნებული პროდუქტის კეთილსინდისიერად და წარმოების გამჭვირვალეობის პირობებში. საქართველოში წარმოებული ეს პროდუქტები გამოირჩევა მაღალი ბიოაქტიური ღირებულებებით.

თითქოს უცნაურია ამ ორი პროდუქტის გაერთიანება, მაგრამ მიზეზი ფალსიფიკაციის მსგავსებაა (ფალსიფიკაცია ძირითადად საქაროზათი და ლიმონის მჟავათი ხდება). დღეისათვის საქართველოში მომქმედი ძველი საბჭოური სტანდარტები (ღვინო და ღვინომასალები -სსტ 27-99, თაფლი ნატურალური-გოსტ 19792) ძირითად აქცენტს აკეთებს ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებზე, რაც არ იძლევა მათი ნატურალობის და წარმოების დადგენის საშუალებას. მსგავსება ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიხედვით. ანტიოქსიდანტები-ფენოლური ბუნებისაა.

ლიტერატურაში გამოჩნდა ამ პრობლემასთან დაკავშირებული სტატიები. სწავლობენ სხვადასხვა მცენარეული წარმოების თაფლის ქიმიურ შედგენილობას, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ფენოლური ნაერთების რაოდენობრივ და თვისობრივ შემცველობაზე და ანტიოქსიდანტური ეფექტის კორელაციაზე ამ ნაერთების შემცველო-

ბაზე. ღვინის კვლევისას ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ადგილწარმოშობას და ჯიშურ სინმინდის კვლევას ქრომატოგრაფიულად (მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირება). შესწავლილია ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობა ღვინოების ადგილწარმოშობისა და ჯიშის მიხედვით.

სამწუხაროდ საქართველოში მსგავსი სამუშაოები არაა ჩატარებული. გამოწვევის პროექტის შემდგენლებისა და მათი მოსწავლეების რამდენიმე მოსინჯვითი სამუშაოა. საერთოდ არაა ჩატარებული თაფლის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევა, თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით, არა სისტემატიზირებულია ამ მიმართულებით ყურძნისა და ღვინის ფრაგმენტული კვლევები. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია საქართველოს კანონი ღვინის შესახებ, ადგილმდებარეობის და ჯიშის განმსაზღვრელი ობიექტური მახასიათებელი არ არსებობს.

ხოლო ქიმიური მაჩვენებლებიდან სპირტზე, ტიტრულ მჟავიანობაზე და მქროლავ მჟავებზე, რაც არ იძლევა ნატურალობის სურათს. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ღვინოში ხვდება სხვა ფენოლური ნაერთებით მდიდარი ნედლეული, განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფალსიფიკაცია ნითელი ღვინის წარმოების დროს. ცალკე აღნიშვნის საგანია უნიკალური ავტოქოტონული ჯიშის ყურძნისაგან -ოჯალში, ოცხანური საფერე, მუჯურეთული, ალექსანდროული, ჩხავერი, ცოლიკოური და სხვა, (რომელთა ღირებულება რამდენჯერმე აღემატება ორდინალურ



ან ჰიბრიდულ ყურძენს) წარმოებულ ღვინოებში ორდინალური ყურძნის ან ღვინომასალის მოხვედრა.

თაფლის შემთხვევაშიც სტანდარტი არ იძლევა პროდუქტის მკაცრად, ობიექტურად შეფასების საშუალებას. ძირითადი მაჩვენებელი აქ წყალი და შესაბამისად მშრალი ნივთიერებებია. ტიტრული მჟავიანობაც არ საზღვრავს ორგანული მჟავების თვისობრივ შემცველობას. ძირითადი რითაც შესაძლებელია თაფლის ნატურალობის განსაზღვრა ე.წ. დიასტაზური რიცხვია, რომელიც თაფლის წარმოშობის შესახებ არ იძლევა ინფორმაციას.

ზემოთ თქმულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ მენარმეს დღეს მოქმედი სტანდარტები აძლევს ძალიან დიდ შესაძლებლობას და ცდუნებას, მოახდინოს ნაწარმის ფალსიფიცირება. მეორეს მხრივ ამ სტანდარტებით შეუძლებელია ნატურალობის აღმოჩენა და ბაზარზე უპირატესობის მოპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წარმოებული ღვინის და თაფლის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთში იყიდება, ლაბორატორიები რომლებიც იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ მეთოდებს, რომლის გამოყენებით პრაქტიკულად სრულადაა შესაძლებელი კეთილსინდისიერი ღვინის და თაფლის წარმოების და მიღებული პროდუქტის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა, დღემდე ნაკლებად ან საერთოდ არაა გამოყენებული. ქვეყანა რომელიც ცდილობს გააფართოოს ბაზარი მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი აღჭურვის და გამოცდილების მქონე ლაბორატორიებით. აუცილებელია ასეთი ლაბორატორიის აკრედიტაცია ISO/IEC 17025 საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაზე.

პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოში მოყვანილი ავტოქოტონული და სამეუ-

რნეო დანიშნულების პერსპექტიული ჯიშის ყურძნის, მისგან დამზადებული ღვინის და მონეული თაფლის კლასიკური ფიზიკო-ქიმიური და ორგანოლექტიკური, OIV-International Methods of Analysis of Wines and Musts რეკომენდირებული მეთოდებით (მათ შორის მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდის გამოყენებით) ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შესწავლითპროდუქციის პასპორტიზაციის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლის შექმნა, ადგილმდებარეობის მიხედვით სხვადასხვა ჯიშის ყურძნის (ღვინის) შერევისას ქიმიური შედგენილობის ცვლილებაზე გავლენის შესწავლა, თაფლის ქიმიურ შედგენილობაზე მცენარეული ნარმოვალობის ფაქტორების დადგენა (HARMONISED METHODS OF THE INTERNATIONAL HONEY COMMISSION რეკომენდირებული მეთოდებით), ნატურალური პროდუქტების სერტიფიცირება-პასპორტიზაციისათვის ახალი სტანდარტების პროექტების შემუშავება, ყურძენში, ღვინოსა და თაფლში შესწავლილი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების (ქრომატოგრაფირების მეთოდები) ნატურალობის და აუტენტობის მარკერებად გამოყენება. საქართველოში გავრცელებული ღვინისა და თაფლის ფალსიფიკაციის მეთოდების მოდელირებით შესაბამისი ფალსიფიცირებული პროდუქტის ქრომატოგრაფიული მახასიათებლების შექმნა.

პროექტის შედეგები საშუალებას მისცემს კეთილსინდისიერ მენარმეს აჩვენოს წარმოებული პროდუქტის ნატურალობა და სრული შესაბამისობა სახელწოდებასთან, მეორეს მხრივ დაიცვას წარმოებული პროდუქტის ღირსება საბითუმო (განსაკუთრებით დაუფასოებელი გაყიდვების დროს) რეალიზაციის დროს, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო აამაღლებს წარმოებული პროდუქტების კონკურენტუნარიანობას, როგორც ტურისტებით გაჯერებულ შიდა, ასევე ძალზე



კიდევ რამდენიმე დღე და 2016 წელი ტკბილად მოგონებად წარსულს ჩაბარდება... კიდევ რამდენიმე დღე და შემოაბიჯებს ახალი 2017 წელი, ახალი სურვილებით, იმედებით, გეგმებით, გამოწვევებით, წარმატებებით... დამდეგ ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს, ჩემს ლამაზ ბათუმს და საყვარელ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციას, ლექტორ-მასწავლებლებსა და თითოეულ სტუდენტს. დაე, დამდეგი წელი დასახული მიზნების მიღწევის, ცხოვრების ურთულესი მწვერვალების დაპყრობის, სულის სიმშვიდის, ჯანის სიმრთელის, სიყვარულის, სიხარულის, მეგობრობის, თანადგომისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ყველასათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ეკონომიკისა და გეგმვის ფაქულტეტის ასისტენტ პროფესორი ნატალია როზიტაშვილი

ალალი გულით გილოცავთ ახალი — 2017 წლის შემოსვლას. გისურვებთ ჯანსაღ სიცოცხლეს, ნაკლებ ნერვიულობას, ბევრ იუმორს, ოჯახურ ბედნიერებას, მშვიდობას, ჩვენი საერთო სამშობლოს წინსვლასა და აღმავლობას. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ახალი წელი უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორებს, საამაყო ადამიანებს, ცნობილ მეცნიერებს. ბედნიერების მომტანი იყოს ეს წელი თქვენთვის. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, არ მოდუნდეთ, თქვენგან ჩვენი სასიკეთოდ უნივერსიტეტი და მთლიანად ჩვენი ქვეყანა ელის კიდევ ახალ-ახალ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში. ჩემს მეგობრებს მინდა მივულოცო ახალი წლის დადგომა და მათ მიემართო ცნობილი მეცნიერის, ანზორ დიასამიძის სიტყვებით: „ჭირში, ღვინოში, ყველგან, მუდამ გულს გვიმაგრებს მეგობარი, გვტკივა მისი, მას კი ჩვენი, გვკურნავს მასთან საუბარი. თვით სიცოცხლაც უმეგობროდ ვერ აგვიხელს ყველგან თვალებს, ასკეტური მარტოობა გაგვწირავს და გაგვანვალებს“. გილოცავთ, გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!



ეპერიტუსი პროფესორი თამარ გოგაბაჩაძე





# 2017 წლის ჰოროსკოპი - რას გვპირდება მამლის წელიწადი

# რატომ მიყვარს ახალი წელი



### რას მოგვითმის 2017 წელი?

**პირი** — გასული ორი ურთულესი წელიწადი უკან დარჩა. დადგა დრო, როცა ამ ნიშნის წარმომადგენლებმა საკუთარი დაუღალავი შრომისგან ნაყოფი მიიღეს. თუმცა იმას ვერ ვიტყვი, რომ ვერძის ფეხებზე ყველაფერი თავისთავად გაეგება - რაიმეს მისაღებად გარკვეული ძალისხმევა და ყურადღება დასჭირდება.

**კურო** — მაიმუნის წელიწადი სრულდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ნარუმბეტობა, დაძაბულობა და ამოება უკან დარჩება. დადგა დრო სიმშვიდის და ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებისა. ვარსკვლავები იმის გარანტიას, რა თქმა უნდა, ვერ მოგვცემენ, რომ ყველაფერი იდეალურად იქნება, თუმცა ემოციურ და მატერიალურ ფონზე შეგიძლიათ აბსოლუტური სიმშვიდე ჰპოვოთ.

**ტყუპი** — მამლის წელიწადი სასიამოვნო შთაბეჭდილებებითა და წარმატებული საწყისებითაა სავსე. ეს წელიწადი ტყუპისთვის ძალიან პოზიტიური იქნება და ისინი სასწაულის მონმენიც გახდებიან.

**კირჩხიბი** — ბედისწერა საინტერესო ადამიანებთან შეგახვედრებთ, რომლებიც ერთგული მეგობრები გახდებიან და კირჩხიბის პიროვნულ ზრდაზეც დიდ გავლენას მოახდენენ. ზოგიერთი მძიმე ტვირთსაც მოიშორებს, რაც დიდი ხანია კისერზე აწევს და მათ ცხოვრებაში ერევს.

**ლომი** — ნადავლის მოსაპოვებლად ამ ნიშნის, თითქმის არაფრის გაკეთება არ დასჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეგუებულები არიან ყველაფერს დამოუკიდებლად მიიღონ. ცხოვრობენ დევიზით - "ცხოვრება ბრძოლაა", ამიტომ ცხოვრების ისე გადალაგება, რომ ყველაფერი თქვენს ხელთ თავისთავად იქნება, ცოტა პრო-

ბლემებს შეგიქმნით. ბედი ლომს ბევრ გაუთვალისწინებელ მოვლენას ჰპირდება, რასაც ხშირად სასურველი შედეგი მოჰყვება.

**ქალწული** — დროა საკუთარ გადაწყვეტილებებში წლის სანყისიდანვე მტკიცე იყოთ. ეს სიმტკიცე ქალწულებს დაეხმარება გაუძლოს ყველა გამოცდას, რასაც



მამლის წელიწადი ჰპირდება. უმჯობესია ეშვათ გამოინიშნოთ და სვლა თქვენივე საკეთილდღეო მიმართოთ.

**სასწორი** — ბედისწერა სასწორს უამრავ შანსს აძლევს, რომ მატერიალურად კიდევ უფრო გამყარდეს, მთავარია შანსები არ გაუშვას. თუ რაიმე პროექტს თქვენს თავზე აიღებთ, მისი რეალიზებისთვის ყველა ღონე უნდა იხმაროთ, გამოხატოთ სიმტკიცე და დამოუკიდებლობა.

**მორიელი** — მორიელს დიდი ცვლილებების გადალახვა მოუწევს, რის შემდეგაც ცხოვრებას "მანამდე" და "შემდეგ" ნაწილებად დაჰყოფს. მორიელს ცვლილებების

ქარი ჩამოუქროლებს, სურვილი გაუჩნდება წარსულში დატოვოს ძველი კოლეგები, რუტინული სამსახური და ცხოვრებაზე გარდაქმნების ტალღა გადაატაროს. ცხოვრებაში ცვლილებები ამ ნიშნის მსოფლმხედველობასაც შეცვლის.

**მშვილდოსანი** — ამ ნიშნის ოპტიმისტური ბუნება და ძლიერი ენერგეტიკა უამრავ პერსპექტივის საწინდარი გახდება. პრობლემებს გვერდიდან შეხედავენ, არ დანებდებიან და მარტივად გადაჭრის გზებსაც იპოვიან, ამით დროსა და ენერჯისაც დაზოგავენ. ყველა შემთხვევაში ვარსკვლავები თქვენს მხარეს არიან.

**თხის რქა** — ვარსკვლავები გირჩევენ, პრიორიტეტები სწორად გადაფასოთ. ჯერ საკუთარ თავში გაერკვიეთ, ისრაფეთ სრულყოფისაკენ. სამყაროზე ახალი ხედვა გაგახარებთ, ირგვლივ ყველაფერი შეიცვლება.

**მარწყული** — 2017 წელი ყველაწიერ ასპექტში, მერწყულის წელიწადად ითვლება. საქმე იმაშია, რომ ამ ნიშნის წარმომადგენლები და მამალი სულიერად ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან. ისინი შემოქმედებითი ბუნების პიროვნებები არიან, არ სურთ სირთულეები თავის თავზე აიღონ და გააუბრან მათ. ეს მერწყულის ერა იქნება და მათ გადაწყვეტილებების გამართლების უამრავი შესაძლებლობა მიეცემათ.

**თევზები** — 2017 წელი ასევე განსაკუთრებული იქნება თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის. პირველ რიგში იმიტომ, რომ მათი ცხოვრება ერთ ადგილას გაყინული აღარ იქნება, რაც თითქმის 10 წელია გრძელდება. ეს იქნება დიდი გამოდევინება, უსაქმურობის დრო დასრულდება და აურაცხელი ენერჯის მოზღვავებას იგრძნობს.

მასალა მომზადებულია ინტერნეტის საშუალებით დაყრდნობით

**ადამიანთა უმრავლესობას რომ ჰკითხო რომელია მათთვის ყველაზე საყვარელი დღესასწაული, პირველივე თუ არა, მეორე აუცილებლად ახალი წელი იქნება. გამონაკლისი არც მე ვარ და ალბათ, არც თქვენ. ამისათვის ყველას სუბიექტური მიზეზები გვაქვს, რომლებიც საშუალებას არ გვაძლევს მოგვებზრდეს ეს დღესასწაული.**

**კ**ავშობაში ახალი წელი ორი რამის გამო მიყვარდა - ამ დღეს ადრე არ მაძინებდნენ და კიდევ, პირველი იანვრის დილა უზომოდ დიდ სიხარულს მგერიდა იმის გააზრება, რომ ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარი მელოდია. თუმცა ჩემი მშობლები ცუდი მატყუარები არიან და თოვლის ბაბუს არა-რეალურობის შესახებ ეჭვები მალე გამიჩნდა. ერთხელაც, როცა უკვე საკმარისად დიდი ვიყავი იმისთვის, რომ ყველაფერს მივმხვდარიყავი, შემთხვევით დავინახე, როგორ გამოიღო დედამ საჩუქრები კარადიდან და ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, თუმცა თოვლის ბაბუს "საიდუმლოების" გაგებას ოდნავადაც ვერ იმოქმედა ამ დღესასწაულისადმი ჩემს სიყვარულზე, ალბათ იმიტომ, რომ ახალი წლის ჯადოსნობა არა გამოგონილ პერსონაჟსა და მის მიერ ერთ ღამეში მილიონობით ბავშვისთვის დარიგებულ საჩუქრებში, არამედ საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობაშია. ჩემთვის ახალი წლის მთავარი ხიბლი ისაა, რომ ყველას მეტ-ნაკლებად გვცალია ოჯახის წევრებისა და მეგობრებისათვის, ვუბრუნდებით მშობლიურ ქალაქებს და სოფლებს, შეგვიძლია მოვიხაზულოთ ახლობლები, ერთ სუფრასთან შევიკრიბოთ, უკვე ათასჯერ ნანახ საახალწლო ფილმებსა და ტელეგადაცემებს კიდევ ერთხელ ვუყუროთ და თანაც დიდი სიამოვნებით, დადებითი ემოციები გავუზიაროთ ერთმანეთს და ამ ყველაფერთან ერთად ცოტა ხნით მაინც დავივიწყოთ ყოველდღიური სადარდებელი, მაგალითად, თუნდაც მოახლოებული გამოცდები. ვფიქრობ, ის უცნაური და თავბრუდამხვევი ემოციები, რომელიც ახალი წლის მოახლოებისას გვეუფლება და ბავშვობაში გვაბრუნებს, სწორედ ამ უდარდებლობითაა გამოწვეული.



დამდეგი ახალი წელი ყველაზე უჩვეულო და განსხვავებულია ჩემთვის, ვინაიდან, მას სტუდენტის სტატუსით ვხვდები. ის ცვლილება კი ბევრ რამეს განაპირობებს, მაგალითად, თუ შარშან ჩემი მთავარი

დადამდეგი ახალი წელი ყველაზე უჩვეულო და განსხვავებულია ჩემთვის, ვინაიდან, მას სტუდენტის სტატუსით ვხვდები. ის ცვლილება კი ბევრ რამეს განაპირობებს, მაგალითად, თუ შარშან ჩემი მთავარი

დადამდეგი ახალი წელი ყველაზე უჩვეულო და განსხვავებულია ჩემთვის, ვინაიდან, მას სტუდენტის სტატუსით ვხვდები. ის ცვლილება კი ბევრ რამეს განაპირობებს, მაგალითად, თუ შარშან ჩემი მთავარი

დადამდეგი ახალი წელი ყველაზე უჩვეულო და განსხვავებულია ჩემთვის, ვინაიდან, მას სტუდენტის სტატუსით ვხვდები. ის ცვლილება კი ბევრ რამეს განაპირობებს, მაგალითად, თუ შარშან ჩემი მთავარი



დადამდეგი ახალი წელი ყველაზე უჩვეულო და განსხვავებულია ჩემთვის, ვინაიდან, მას სტუდენტის სტატუსით ვხვდები. ის ცვლილება კი ბევრ რამეს განაპირობებს, მაგალითად, თუ შარშან ჩემი მთავარი

დადამდეგი ახალი წელი ყველაზე უჩვეულო და განსხვავებულია ჩემთვის, ვინაიდან, მას სტუდენტის სტატუსით ვხვდები. ის ცვლილება კი ბევრ რამეს განაპირობებს, მაგალითად, თუ შარშან ჩემი მთავარი

დადამდეგი ახალი წელი ყველაზე უჩვეულო და განსხვავებულია ჩემთვის, ვინაიდან, მას სტუდენტის სტატუსით ვხვდები. ის ცვლილება კი ბევრ რამეს განაპირობებს, მაგალითად, თუ შარშან ჩემი მთავარი

**რედაქტორი**  
**იოსებ სანიკიძე**

**სპეციალისტი**  
**ნესტან მამუჭაძე**



სარედაქციო კოლეგია:  
**ნანა ცაცხლაძე, ინზა შამილიშვილი, ნათია ნიკლაშვილი, მურმან ცაცხლაძე, მურმან გორგოზაძე, დავით ბარათაშვილი, გურამ ჩაბანავა, შოთა მამულაძე, გზგული ლუგვაძე, ნუგზარ ლომიძე**

გაზეთი დაიბეჭდა შპს "გამომცემლობა კოლორში"  
ტელ.: 271 76 45  
მის.: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი 20